

საქართველოს კანონი

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2005 წელი, №49, მუხ. 328) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შუამდგომლობას უნდა დაეთანხმოს საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ შერჩეული, სპეციალურად უფლებამოსილი პროკურორი (შემდგომში – პროკურორი), რომელსაც უფლება აქვს კანონმდებლობის ფარგლებში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია შუამდგომლობასთან დაკავშირებით;“.

2. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. საპროკურორო ზედამხედველობა

სპეციალური სამსახურების კონტრდაზვერვითი საქმიანობა არ წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის საგანს. ის ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან, თანხმდება საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ დანიშნულ სპეციალურად უფლებამოსილ პროკურორთან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი